პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 23 სექტემბერი, 1944 წ. № 193 (7146). ფასი 20 კაპ.

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა გუშინ, 22 სექტემბერს, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი ტალინი. დიდება გმირი წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს! სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების სწორუპოვარ მაგალითებს გვიჩვენებენ!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა სწრაფი შეტევის შედეგად დღეს, 22 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს ესტონეთის სსრ დედაქალაქი **ტალინი** (რეველი) — დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და დიდი ნავსადგური ბალტიის ზღვაზე.

ქალაქ **ტალინის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **სტარიკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ფედიუნინსკის**, გენერალ-მაიორ **ტრუბაჩევის**, გენერალ-ლეიტენანტ **პერნის** ესტონელთა კორპუსის, გენერალ-ლეიტენანტ **სიმონიაკის**, გენერალ-მაიორ **იასტრებოვის**, პოლკოვნიკ **ზინოვიევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ოდინცოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოჩიტალინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კაზაკოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კოზნოვის**, პოლკოვნიკ **პეტროვის**, პოლკოვნიკ **არუს**, პოლკოვნიკ **ტოლკუშევის**, პოლკოვნიკ **სკოროგობგატოვის**, პოლკოვნიკ **ალფეროვის**, პოდპოლკოვნიკ **შულიაევის**, პოდპოლკოვნიკ **ხრუშჩის**, პოდპოლკოვნიკ **კოპოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბარანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ზაზიმკოს**, პოლკოვნიკ **კოვალევსკის**, პოდპოლკოვნიკ **საენკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კარტაშევის**, მაიორ **ჩორნიხის**, მაიორ **კუზნეცოვის**, პოდპოლკოვნიკ **გრიცევის**, პოდპოლკოვნიკ **კუზინის**, პოდპოლკოვნიკ **კუსლაკუს**, პოდპოლკოვნიკ **ჩესნოკოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რიბალჩენკოს**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სამონინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ანდრეევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ანტონოვის**, პოლკოვნიკ **მატვეევის**, პოლკოვნიკ **ხატმინსკის**, პოლკოვნიკ **გრესკოვის**, პოლკოვნიკ **კუროჩკინის**, პოლკოვნიკ **მონჟოსოვის**, პოლკოვნიკ **ჩელნოკოვის**, პოდპოლკოვნიკ **მეხანიკოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბიჩევსკის**, პოლკოვნიკ **აკატოვის**, პოდპოლკოვნიკ **აფანასიევის**, მაიორ **ჩარკოვის**, მაიორ **ფომენკოს**, მაიორ **ვორონოვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კოვალიოვის**, პოლკოვნიკ **შუშევის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების ალსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ტალინის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ტალინის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 სექტემბერს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **ლენინგრადის** ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ **პერნის** ესტონელთა კორპუსს, რომლებმაც დაიკავეს საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი **ტალინი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ტალინის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 სექტემბერი.

საქართველოს სსრ, ჭიათურის რაიონი

გაზეთ „კომუნისტური სიტყვის“ რედაქტორს ამხ. ჯუღეტა თოდრიას

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ჭიათურის რაიონის პრესის მუშაკებს, კორესპონდენტებსა და მკითხველებს, რომლებმაც 90.539 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „პრესის მუშაკის“ ასაგებად.

ი. სტალინი

სარეგენტო საბჭოს ყოფილი წევრების—ფილოვის, მთავარ კირილეს და გენერალ-ლეიტენანტ მიხოვის, აგრეთვე ბულგარეთში გერმანიის მისიისა და მუსოლინის „მისიის“ წარმომადგენლების დაპატიმრება

ბულგარეთში საბჭოთა ჯარების სარდლობამ დაატიმრა: 1. **ბ. ფილოვი**; 2. მთავარი **კირილე**; 3. გენერალ-ლეიტენანტი **ნ. მიხოვი**; 4. ბულგარეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **დ. ბოყილოვი**; 5. ყოფილი მინისტრი **ვასილევი**; 6. გერმანიის დესპანი ბულგარეთში **ა. გ. ბეკერლე**; 7. გერმანიის დესპანის მოადგილე **ა. მორმანი**; 8. გერმანიის სამხედრო ატაშეს თანაშემწე **ვ. ვ. ფონ გიულზენი**; 9. გერმანიის მისიის ატაშე **გ. ვ. პერიცჰენი**; 10. გერმანიის მისიის ატაშე **პ. ვიტერი**; 11. მუსოლინის „მისიის“ გენერალური კონსული **კ. სიმენი**; 12. იმავე „მისიის“ ატაშე **კ. დელიური**; 13. იმავე „მისიის“ ატაშეს თანაშემწე **გ. გრაციი**.

კომკავშირელ ინაურის გმირობა
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამ სათაურით კაპიტანი ბოყენკო 20 სექტემბრის გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ სწერს კომკავშირელ ე. ინაურის საგმირო საქმის შესახებ, რომლითაც მან უკვდავი სახელი მოიხვეჭა.

მსროლელთა ბატალიონს უნდა უკუეგდო მტერი მნიშვნელოვანი ზღუდიდან კარპატების მთისძირებში. გერმანელებსა და მადიარებს ეს ზღუდე ძლიერ გამაგრებული ჰქონდათ. ალაბამოს წაკითხულ იქნა საბრძოლო ბრძანება. კომკავშირელებმა თავიანთ კრებაზე განიხილეს ბრძანება და გადასწყვიტეს მოიერიშეთა პირველ წყებაში წასულიყვნენ. ოცი წლის სერჟანტმა ე. ინაურმა განაცხადა: „მე პირველი წავალ იერიშზეო“.

დაიწყო ბრძოლა. მტრის გრიგალისებრი ცეცხლის ქვეშ საბჭოთა მებრძოლების ასეული შეუდრეკლად მიიწევდა ფაშისტთა მეერკანტელებისკენ. ყველაზე წინ, თვალანთებული, ავტომატით ხელში ინაური მიდიოდა. გზატკეცილს იქით გერმანელთა დანაღმული ველი იყო. მავთულხლართმა გადაუღობა გზა მოიერიშეებს. თუ ველი განნაღმული არ იქნებოდა, იერიში შეიძლება ჩაშლილიყო. ე. ინაურმა უთხრა მეთაურს: „ნება მომეცით, მე გავნაღმავ და გავაკეთებ გასასვლელს“. ოფიცერმა ნება დართო. ინაური გაექანა და დანაღმულ მავთულს ეტაკა. გაიხმა გამაყრუებელი აფეთქება. მავთულხლართში შეიქმნა გასასვლელი. ბატალიონი წინ გაექანა. მებრძოლები მაღლობზე ავარდნენ და მუსრი გაავლეს მტერს, შური იძიეს თავისი ამხანაგისათვის. დალუპული გმირის ამხანაგებმა დედამიწს მისწერეს მისი გმირობის ამბავი. ინაურთან გმირობის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება რუსი ჯარისკაცების გულში.

საჰაერო ბრძოლის ოსტატები
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან).

დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდა საჰაერო ბრძოლის ოფიცერთა უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ფრონტიდან დაბრუნებულ თავის ამხანაგებს—მფრინავ-ინსტრუქტორებსა და რგოლების მეთაურებს. საბრძოლო სტაჟის გავლის ერთი თვის მანძილზე თოთხმეტი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა მოსპო ფაშისტთა 21 თვითმფრინავი. მფრინავ-ინსტრუქტორებმა პავლე ციხელაშვილმა, თეოდორე ბურცევმა და ვლადიმერ ბიბიკმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 12 მანქანა.

მფრინავ ინსტრუქტორთა საბრძოლო სტაჟირებამ გაამდიდრა მათი გამოცდილება. ახლა ისინი კვლავ შეუდგნენ თავიანთ ძირითად სამუშაოს—საჰაერო ბრძოლების ოსტატთა მომზადებას.

ახალი ჰიდროლექტროსადგურები ალჯაიში

ალტაიში შენდება ხუთი ახალი ჰიდროელექტროსადგური. მთავრდება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ზმეინოგორსკში. შენდება სადგური კოლმეურნეობა „საეტსკი პუტში“. დაიწყო ჰიდროსადგურის მშენებლობა ორიოტ-ტურში.

მომავალ წელს დასახულია კიდევ რვა ჰიდროსადგურის მშენებლობის გაჩაღება რაიონულ ცენტრებში. (საკადესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
22 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა სწრაფი შეტევის შედეგად 22 სექტემბერს ბრძოლით დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და დიდი ნავსადგური ბალტიის ზღვაზე — საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი ტალინი (რეველი), აგრეთვე დაიკავეს 800-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტაპა, ქალაქი პაიდე, ქალაქი პილტსამა, დიდი დასახლებული პუნქტები კუნდა, ხალილა, კუსალუ, კაბელრა, კეხრა, ლეხტსე, იარვა-მადისე, იარვა-იანი, პეტრი, კოიგი, იარავერე, რიპანა, ვიტსიარვე და რკინიგზის სადგურები კილტსი, ტამსალუ, ნიმკიული, იანედა, აეგვიდუ, მუსტიოე, კეხრა.

ქალაქ ვალგის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რანდა, რიიდაია, ალა, კურე, შალდერი, დაქსტი, ტურნა და რკინიგზის სადგური ოგმული.

ქალაქ სანოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის ჟერნიცა, ვოლკოვია, ბუკოვეცი, ტერკა, რაინკე, სოკოლე, ტელესნიცა, ოშვაროვა, პოლიანა, ჩარნა, გალიუშკა, მშანეცი, კლოსკოე.

რუმინეთის დასავლეთ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი არადი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები შეპრეში, პედურენი, შილანდული, სფინტა-ანა, გაი, არადულ-ნოუ, ფელნაკი, მაილატი, ტემესკენე და რკინიგზის სადგურები ნიდაბი, ზიმანდული, სფინტა-ანა, კერემიდერია, გლოგოვეცი, არადულ-ნოუ, ზადერლაკი, ფელნაკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

21 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 62 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 12 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები გერმანელთა ტრანსპორტებზე ტალინის (რეველის) ნავსადგურში

21 სექტემბერს საღამოს და ღამით ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ და შორი მოქმედების ავიაციამ თავდასხმები მოახდინეს გერმანელთა ტრანსპორტებზე ტალინის (რეველის) ნავსადგურში. თავდასხმების მომენტში ნავსადგურში იყო დიდძალი ტრანსპორტი გერმანელთა ჯარებისანად.

დაბომბვის შედეგად ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია გერმანელთა სამი დიდი ტრანსპორტი და მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი. გარდა ამისა, ერთ ტრანსპორტზე, რომელიც ნავსადგურიდან გადიოდა, ხანძარი გაჩნდა, შემდეგ კი უდიდესი ძალის აფეთქება მოხდა. გერმანელთა სამ ტრანსპორტს, ტრალერს და მოწინააღმდეგის სხვა გემებს მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენეთ.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ჯარები სწრაფ შეტევას ავითარებდნენ. იერიშის შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდმნიშვნელოვანი კვანძი ტაპა. ქალაქ ტაპაში გერმანელებს წავართვეთ 50 ქვემეხი, დიდძალი ტყვიამფრქვევი, 5 სარკინიგზო ეშელონი ტვირთიანად, 10 დიდი საწყობი საომარ მასალიანად, კავშირგაბმულობის ქონებიანად და სხვა სამხედრო მასალებიანად. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგემ სასოწარკვეთილებით სცადა ფეხი მოეკიდებინა შუალედს თავდაცვითს ზღუდეებზე. საბჭოთა ნაწილების უნარიანი და გაბედული მოქმედებით გერმანელთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჩვენი ტანკისტები და ქვეითები წინ გაეშურნენ და თავიანთ გზაზე გაანადგურეს მოწინააღმდეგის კოლონები და აღჭურვა. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი მარშით შეასრულეს და ქალაქ ტალინში შეაჭრნენ. მტრის გარნიზონი, რომელსაც მოუმზადებელს მივუსწარით და რომელსაც თავზარი დეცა, დემორალიზებულ იქნა. ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა და გენერალ-ლეიტენანტ პერნის ესტონელთა კორპუსმა ქუჩებში ბრძოლების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი და ნავსადგური ტალინი—დიდმნიშვნელოვანი სამხედრო საზღვაო ბაზა ბალტიკაზე.

* * *

ქალაქ ვალგის ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოუარეს ჭაობიან რაიონს და გერმანელები განდევნეს დასახლებულ პუნქტ ალადან. უკანდახევისას მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 300-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ქალაქ ვალგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა არტილერია მიიშველიეს და ძლევრი ცეცხლითა დარტყმა მიაყენეს გერმანელთა სიმაგრეებს. შემდეგ მტერზე იერიში მიიტანეს საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში გამოიყვანა ახალი ჯარები და ცდილობდა შეჩერებულიყო მდინარე სედის ზღუდეზე. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით გადალახეს მდინარე სედა და დაიკავეს დაბა დაქსტი, რომელიც ქალაქ დარკინიგზის კვანძ ვალმიერიდან 25 კილომეტრზე მდებარეობს.

ჩვენი ავიაციი ეფექტიურად ეხმარებოდა სახმელეთო ჯარების მოქმედებას. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 14 ქვემეხი, 3 ჯავშანტრანსპორტიორი, 150 ავტომანქანა ტვირთიანად, ააფეთქეს 4 საწყობი საომარ მასალიანად და საწყობი საწვავიანად. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 6 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სანოკის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგემ მაღლობებზე ძლიერი სიმაგრეები შეაქმნა. გერმანელთა ქვეითი ჯარი, ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული, ბევრჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები, შეპბოჭეს მისი ძირითადი ძალები, შემოვლითი მანევრი მოახდინეს და ფლანგებიდან მიიტანეს იერიში გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძზე. გაფთრებული შეტაკების შემდეგ მოწინააღმდეგემ სასწრაფოდ დაიხია უკან. განადგურებულია გერმანელთა 101-ე სამთო-მსროლელი დივიზიის 228-ე ქვეითი პოლკი. ხელთ ვიგდეთ 12 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 44 ტყვიამფრქვევი, 2 საწყობი საომარ მასალიანად და საწყობი სანეინერო ქონებიანად. ტყვედ წამოყვანილია 230 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არიან გერმანელთა 228-ე პოლკის მეთაური და შტაბის ოფიცერთა ჯგუფი.

* * *

რუმინეთის დასავლეთ ნაწილში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, დაიკავეს ქალაქი არადი. გერმანელთა და უნგრელთა ჯარებს ამ ქალაქისათვის ბრძოლებში დიდი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. არადი—სიდიდით რუმინეთის მეხუთე ქალაქი—დიდი სამრეწველო ცენტრია. არადში არის საფეიქრო ფაბრიკები, ვაგონშენებელი ქარხანა, დენთის ქარხანა და ქვების საწარმოები. ქალაქი მდებარეობს 16 კილომეტრზე რუმინეთ-უნგრეთის საზღვრიდან. სხვა რაიონში ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ტყვედ წამოყვანილია 400-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ ოსტროლენკის დასავლეთით ოთხმა საბჭოთა მოიერიშემ ლეიტენანტ—ვასინის მეთაურობით აღმოაჩინა და იერიში მიიტანა გერმანელთა ეშელონზე. პირველი შეტევით ჩვენმა მფრინავებმა ცეცხლი წაუკიდეს ორთქლმავალსა და რამდენიმე ვაგონს. შემდეგ იერიშების დროს ცეცხლი გაუჩნდა პლატფორმებს ტანკებიანად. მალე მისაშველებლად მისულმა მოიერიშეთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ დავიდენკოს მეთაურობით დაათვალიერა გერმანელთა ეშელონის მოსპობა. დამტვრეული და დამწვარია 15 პლატფორმა ტანკებიანად, ოისტერნი საწვავიანად და რამდენიმე ვაგონი სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციამ ბარენცის ზღვაში და ვარანგერ-ფიორდში ჩასძირა გერმანელთა ორი ტრანსპორტი 11 ათასი ტონა საერთო წყალწყვეთა.

უკანასკნელი ცნობები

„საერთაშორისო მუშათა ორდენის“ ფინური სექციის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი (საკადესი). „საერთაშორისო მუშათა ორდენის“ ფინური სექცია მიესალმება ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დროებითი ზავის დადებას. ფინური სექციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზავის პირობები „ძალიან ლმობიერია, თუ მხედველობაში მივიღებთ ფინელების ხანგრძლივ სამსახურს ჰიტლერელთა მზარეზე. ფინელებს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ კვლავ მოიპოვონ დემოკრატიული მსოფლიოს პატივისცემა და ნდობა, თუ მართლმსაჯულების ხელში გადასცემენ თავიანთ საკუთარ ფინელ ჰიტლერელებს“.

„ᲓᲔᲓᲘᲚ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ“ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲬᲛᲔᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘ). „ᲓᲔᲓᲘᲚᲘᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲣᲤᲔᲤᲘᲠᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ—ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲒᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲡ. ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲡᲢᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲛᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ ᲛᲝᲡᲞᲝ 21 ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ. ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ-ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲠᲔᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘᲡ „ᲛᲘᲡᲘᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ: 1. **Ბ. ᲤᲘᲚᲝᲕᲘ**; 2. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ **ᲙᲘᲠᲘᲚᲔ**; 3. ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ **Ნ. ᲛᲘᲰᲝᲕᲘ**; 4. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ **Დ. ᲑᲝᲧᲘᲚᲝᲕᲘ**; 5. ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ **ᲕᲐᲡᲘᲚᲔᲕᲘ**; 6. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ **Ა. Გ. ᲑᲔᲙᲔᲠᲚᲔ**; 7. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ **Ა. ᲛᲝᲠᲛᲐᲜᲘ**; 8. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲢᲐᲨᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ **Ვ. Ვ. ᲤᲝᲜ ᲒᲘᲣᲚᲖᲔᲜᲘ**; 9. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲢᲐᲨᲔ **Გ. Ვ. ᲞᲔᲠᲘᲪᲰᲔᲜᲘ**; 10. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲐᲢᲐᲨᲔ **Პ. ᲕᲘᲢᲔᲠᲘ**; 11. ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘᲡ „ᲛᲘᲡᲘᲘᲡ“ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ **Კ. ᲡᲘᲛᲔᲜᲘ**; 12. ᲘᲛᲐᲕᲔ „ᲛᲘᲡᲘᲘᲡ“ ᲐᲢᲐᲨᲔ **Კ. ᲓᲔᲚᲘᲣᲠᲘ**; 13. ᲘᲛᲐᲕᲔ „ᲛᲘᲡᲘᲘᲡ“ ᲐᲢᲐᲨᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ **Გ. ᲒᲠᲐᲪᲘᲐ**.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲑᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ
22 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲒᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘ

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲜ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲚᲘᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲝᲠ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘ, ᲓᲐᲐᲙᲘᲗᲮᲐ 120-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲛᲔᲗ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲝᲤᲘᲪᲠᲘᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲛᲔᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲩᲐᲜᲡ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲝᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲓᲐᲠᲘ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲘᲧᲣᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲘᲦᲔᲑᲘ ᲜᲐᲬᲐᲛᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲚᲘ ᲢᲠᲝᲡᲢᲝᲜᲔᲪᲨᲘ. ᲐᲥ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘ ᲨᲢᲐᲑᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲓᲜᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲡ. ᲐᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲜᲘ. ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ



პოლონეთში. ლეიტენანტ შპატენკოს ქვეგანაყოფი მდინარე ვისლის გადალახვის შემდეგ პოზიციებს იკავებს დასავლეთ ნაპირზე.

ფოტო გ. კონოვალოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფოთი. საორთქლმავლო დეპო. სურათზე: დეპოს უფროსი ე. კიკალეიშვილი (მარჯვნით) მორიგი რეისის წინ დავალებას აძლევს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეს მემანქანე ა. სვანაძეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

მეშახტეთა მარჯვენის ბარაქა იზრდება

ტყიბული, („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).—მოდის ათეულობით ტონა ქვანახშირი, გეგმის გადამეტებით, ყოველდღიურად! ასეთი იყო ტყიბულელ მეშახტეთა პასუხი მოსკოვის ავტოქარხნელთა მომართვაზე საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. გიორგალა მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. შედეგები შესანიშნავია.

თუ სექტემბრის პირველ დეკადაში ტრესტში ქვანახშირის ამოღების გეგმა მთლიანად ვერ სრულდებოდა, ახლა ყველა შახტი დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. სექტემბრის მეორე დეკადის გეგმა ტრესტმა 104,9 პროცენტით შეასრულა, აღსანიშნავია, რომ ქვანახშირის სადღეღამისო გამოღების მაჩვენებლები საოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ დღითი დღე უმჯობესდება. მაგალითად, 18 სექტემბერს ტრესტმა ქვანახშირის გამოღების გეგმა შეასრულა 100 პროცენტით, 19 სექტემბერს—107,5 პროცენტით. 20 სექტემბერს ტრესტმა კიდევ უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა და გეგმის გადამეტებით 120 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა რეალიზაციაში წინ მიდის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელმაც სექტემბრის მეორე დეკადაში ქვანახშირის მოპოვების გეგმა 107,9 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა ოგრეთვე გელათის მაღარო, სადაც ახლა ყველა უბანი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. მთლიანად მაღაროს სექტემბრის მეორე დეკადაში გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულა.

ლენინის სახელობის შახტის წარმატება სექტემბრის მეორე დეკადაში აიხსნება ლ. ვაშაკიძისა და გ. ფანჩულიძის უბნების ნამდვილი სემიოვოლსური მუშაობით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელსაყრელი პირობა აქვთ, მაინც სამარცხვინოდ ჩამორჩებიან შეჯიბრების მსვლელობაში აღებულ ტემპებს გ. ჩიტიშვილის და ნ. ცერცვაძის უბნები.

საოქტომბრო შეჯიბრების გაშლის პირველ დღეებშივე სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა შესძლო მუშაობის გამოსწორება და გარღვევიდან გამოსვლა (შახტის უფროსი ლ. რატიანი, პარტბიუროს მდივანი რ. სადუნიშვილი). ახლა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ათეულობით ტონა ქვანახშირს იძლევა. კვლავ მოწინავეა შ. შოთაძის უბანი, რომელსაც სექტემბრის ორი დეკადის გეგმა 123,3 პროცენტით აქვს შესრულებული.

საოქტომბრო შეჯიბრების გაშლამდე ჩამორჩენილთა შორის იყო მ. ციცხვიაის უბანი, რომელიც ახლა გეგმის გადამეტებით ყოველ დღე-ღამეში 15-20 ტონა ქვანახშირს იძლევა. ასევე ჩამორჩენილი იყო ვ. გორგაძის უბანი. ახლა ეს უბანი გეგმებს პირნათლად ასრულებს.

ასე შეუჩერებლივ აუმჯობესებენ მუშაობას და ზრდიან ქვანახშირის ამოღებას ტყიბულელი მეშახტეები.

დ. ქათამაძე

მოწინავეა ძაფსაგრეხი საამქრო

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი შ. ვასაძე), რომელმაც წარმატებით შეასრულა 8 თვის გეგმა, იკისრა ათი თვის გეგმა შეასრულოს 20 ოქტომბრისათვის და საოქტომბრო ზეიმისათვის ვეგმის გადამეტებით გამოუშვას 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

სექტემბრის პირველი დეკადის გეგმა ფაბრიკის კოლექტივმა 102 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა ძაფსაგრეხი საამქრო. ბრიგადებს შორის მოწინავეა ამხ. ე. ორაგველიძის ფრონტული ბრიგადა, ხოლო სტახანოველებს შორის მაღალნაყოფიერად მუშაობენ ჯიქია, ხუხუნაშვილი, ღლონტი და კამერცოვა.

ლ. ლოლაძე

დისპეტჩერთა ვალდებულებანი

სამი საკავშირო სადგურის — სამტრედიის, ხაშურის და თბილისის დისპეტჩერები ერთმანეთს ეჯიბრებიან მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დასაცავად, დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმის შესასრულებლად, მატარებელთა საუბნო სისწრაფის გასადიდებლად, ზამთრის სეზონისათვის უკეთ მოსამზადებლად.

თბილისის კვანძის დისპეტჩერებს საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ არ ჰქონიათ მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. მაგალითად, დისპეტჩერმა კვირიკაშვილმა, გაიგო რა, რომ სომხეთიდან თბილისს მომავალი მატარებელი იგვიანებდა, მიიღო ზომები და უზრუნველყო გრაფიკით გათვალისწინებული დროისათვის ამ მატარებლის თბილისში ჩამოსვლა.

გ. მაისურაშვილი

ქლუხორის რაიონის საწარმოებში

(ქლუხორი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

სამრეწველო კომბინატის კოლექტივი (დირექტორი ამხ. გვიჩია) დაუღალავად იბრძვის, რათა გადაჭარბებით შეასრულოს მიმდინარე წლის დავალებები. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატმა იკისრა შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 15 პროცენტით, სულ ცოტა 5 პროცენტით შემციროს პროდუქციის თვითღირებულება და ტექნიკურ სწავლებაში ჩაბას საწარმოებში ახალმოსული კადრები. საოქტომბრო ვალდებულებები იკისრეს ოგრეთვე სარეწაო არტელის „შრომის“ (თავმჯდომარე ამხ. ნიკორაძე) მუშებმა და მოსამსახურეებმა.

გერმანელ ფაშისტთა მიერ დანგრეული ჰიდროელექტრო სადგური აღდგენილია და ამ დღეებში ამუშავდა. სადგურის მუშაკთა კოლექტივი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში. სადგური სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ საწარმოთა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

ა. ჭანკვეტაძე

ქალები ვაქაცებივით მუშაობენ

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში გაჩაღებულია საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. სექტემბრის განვლილ ორ დეკადაში დაწინაურდნენ ამხ. ე. ადამიას და მ. მიქაიას ბრიგადები.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ყველას გაუსწრეს პაშა ჯანელიძემ, თამარ მამარდაშვილმა, ნინო ჯიმშელეიშვილმა და თამარ აილაროვამ, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 300-400 პროცენტით ასრულებენ. მედალოსანი სტახანოველი პაშა ჯანელიძე ყოველ ხუთდღიურში გრეკას 6.990 კილოგრამის ნაცვლად 10.370 კილოგრამს იძლევა. ასეთი მაჩვენებელი ფაბრიკაში ჯერჯერობით არავის აქვს.

ე. ჯაფარიძე

ფრაქტორისტები ჩაებნენ საოქტომბრო შეჯიბრებაში

კასპი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კასპისა და წითელქალაქის მტს-ების მუშაკები ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კასპის მტს-ის მუშაკებმა იკისრეს ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულონ საშემოდგომო ხვნის გეგმა, მტკიცედ დაიცვან თესვის ვადები და ხარისხი, თესვის გეგმა შეასრულონ 150 პროცენტით. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ა. გურწიშვილმა პირობა დასდო, რომ წლიურ გეგმას ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის 120 პროცენტით შეასრულებს. მეორე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დ. მერებაშვილმა მომდინარე წლის გეგმის 150 პროცენტით შეასრულება იკისრა. ახალი ვალდებულებები იკისრეს ტრაქტორისტებმა ა. არაქელოვმა, დ. გელაშვილმა, გ. ზავადნიმ, გ. კრეჩკინმა.

წითელქალაქის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ი. ხოკერაშვილი) იკისრა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 250 პროცენტით შეასრულოს. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი მ. ჯალანტიაშვილი) გეგმის გადამეტებით მოხნავს 60 ჰექტარს.

ტრაქტორისტები დიდი მონდომებით შეუდგნენ ახალ ვალდებულებათა შესრულებას.

ვ. გუჯალაძე

მოვუმზადოთ პირუტყვს საზამთროდ თბილი საღგომი და გემრიელი საკვები

საქონელს მზრუნველი ხელი აკლია

(კასპი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

იმ კოლმეურნეობებში, სადაც შრომა კარგად მოაწყეს და პირუტყვის მოვლა გაუმჯობესეს, მეცხოველეობა სწრაფად იზრდება და ვითარდება.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს სოფელ კასპის, ქვემო გომის, ქვემო ხანდაკის, რგვალიჭალის, იგოეთის, აღაიანის, ქედისა და ახალციხის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ მთლიანად რაიონში 90 კოლმეურნეობიდან პირუტყვის საერთო სულადობის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ ორ მესამედს. წარმატებით შესრულებულია მხოლოდ ცხვრისა და ღორის სულადობის ზრდის წლიური გეგმები. ჩამორჩენილია ძროხებისა და ფურ-კამეჩების, ხარებისა და ხარ-კამეჩების, განსაკუთრებით კი ფრინველის მოშენების გეგმების შესრულებაში. კოლმეურნეობათა ფერმებში გეგმების შესრულებას აკლია 1.000-მდე ფრთა ქათამი, 100-ზე მეტი ძროხა და ფურ-კამეჩი, 500-ზე მეტი ხარი. მარტო ერთა-წლინახევრისა და ხოვლეს კოლმეურნეობებს აკლიათ თვითეულს 30-მდე სული ხარი.

სოფელ თეზის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დემეტრაშვილი) მეცხოველეობის განვითარების გეგმები შეუსრულებელია, მოუწყობელია ბოსელი, ცუდად უვლიან საქონელს, მომვლელებს—კარგსაც და ცუდსაც — შრომა-დღეებს ერთნაირად უწერენ, გამოყენებული არ არის წამახალისებელი ღონისძიებანი. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა აღაიანის მეორე კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თხილაშვილი).

არის პირუტყვის თვითნებურად დაკვლისა და განიავების შემთხვევები. სოფელ გოსტიბის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. აფციაური) წელს განიავებულია 400 სული ცხვარი და თხა. არა აქვთ ბოსლები. ნაკლებად ზრუნავენ საკვების მომზადებისათვის.

დიდია ნამატის სიკვდილიანობა. შარშან 1.217 ძროხაზე კოლმეურნეობებში მხოლოდ 791 ხბო მიიღეს. აქედან ცუდი მოვლის გამო მოკვდა 67 სული. ძროხების დიდი ნაწილი საკოლმეურნეო ფერმებში დაუგრილებელი დარჩა და ნამატი შემცირდა. ფერმებში სულადობის ზრდა ხდება უმთავრესად შესყიდვის ხარჯზე და არა საქონლის მოშენების გზით.

მოუვლელობის შედეგად წელს რაიონში მსხვილფეხა პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები იყო. მარტო ერთაწლინახევრის კოლმეურნეობებში დაიხოცა — 80 სული, მეტეხის პირველ კოლმეურნეობაში — 30 სული.

საქონლის სიჯანდაღისა და კვების მოუწესრიგებლობის გამო წველადობა დაბალია. შარშან გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრის ნაცვლად თითო ძროხის საშუალო წველადობამ ბევრგან 200 ლიტრამდეც ვერ მიაღწია. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც წელს არის. განსაკუთრებით დაბალია წველადობა სოფელ თვალადის, ეზოტის, აღაიანის მეორე და თეზის კოლმეურნეობებში. ყველგან მოგვარებული არ არის პროდუქტიულობის აღრიცხვა, არ ტარდება საკონტროლო წველა, არ იყენებენ შრომის დამატებითი ანაზღაურების წესს.

ზამთარი ახლოვდება. ამთავითვე უნდა შეუდგეთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას, გავაუმჯობესოთ მოვლა, მთლიანად შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმა.

ტ. თოდრაძე

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

ყაზბეგი („კომუნისტის“ კორ.). საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში არის მიღწევები. ნახევარი წლის გეგმა რაიონმა 115,6 პროცენტით შეასრულა. წინ მიდიან სოფელ ცდის კალინინის სახელობის (თავმჯდომარე წიკლაური), ფანშეტის ედანოვის სახელობის (თავმჯდომარე საბაური), სოფელ აბანოს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ი. კოკოევი) კოლმეურნეობები.

მაგრამ გარბანის, განისის, ქუმლის-ციხის კოლმეურნეობები გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ.

ამჟამად მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კარგად მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ამას ანგარიშს როდი უწევენ სოფელ გიმარის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. კუსაევი). ამ კოლმეურნეობამ ყიზლარის საძოვრებიდან პირუტყვი ჩამორეკა და არც ერთი ცენტნერი თივა არ დაუმზადებია. საჭირო გახდა კოლმეურნეთა ხელახლა გაგზავნა ყიზლარში თივის ასაღებად. საზამთრო საძოვრებზე თივა საკმაოდ არ დაუმზადებიათ სოფელ განისის, კობის, გარბანის, სიონის, ლარსის, არშის, გაიბოტენის, თოთისა და ტყარშეტის კოლმეურნეობებს.

ამ დღეებში შემდგარმა რაიონულმა თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში არსებულ წაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საჭიროა ეს ღონისძიებანი მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში, ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, მივაღწიოთ იმას, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეებს გაუთანასწორდნენ.

ა. შადური

მშენებლობის დამთავრების ვადები ირღვევა

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად მუშაობენ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა ვადაზე 6 თვით ადრე 109 პროცენტით შეასრულა. კონდოლის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზამ“ გეგმა შეასრულა 117 პროცენტით, ქვემოალვანის კოლმეურნეობა „წითელმა თუშეთმა“ — 108 პროცენტით. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ცაძიკიძე) ცხვრის სულადობის გეგმა 125 პროცენტით შეასრულა, ხოლო შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. აბაშიძე)—120 პროცენტით.

მაგრამ ყველგან გულმოდგინედ როდი უვლიან საქონელს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არის პირუტყვის განიავების შემთხვევები. სოფელ მაღრაანის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში უგზოუკვლოდ დაკარგულია 27 სული ცხვარი, ფიჩხოვანის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ — 49, არგოხის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ — 26. კოლმეურნეობათა გამგეობებს დღემდე არ მიუღიათ საჭირო ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ცხვრის განიავებაში.

საქონლის გამოზამთრებისათვის მზადება ბევრგან ჯერ კიდევ არ არის გაშლილი. მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ დაუწყიათ საკვების მიზიდვა პირუტყვის საზამთრო სადგომებამდე. ზოგან ნელი ტემპებით სწარმოებს საქონლის სადგომების რემონტი, ჰიანურდება, ახალი სადგომების მშენებლობა, ირღვევა მშენებლობის დამთავრებისათვის დაწესებული ვადები.

ს. ძოწილაძე

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას ნიმეგენზე გავლით ჩრდილოეთისაკენ, ეშასთან მტრის გაძლიერებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ. მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ძალები, რომლებმაც ხელთ იგდეს ხიდი ნიმეგენში, ავიასადესანტო ნაწილებთან ერთად მდინარე ვაალის ჩრდილოეთ ნაპირზე გავიდნენ და განაგრძობდნენ წინსვლას ჩრდილოეთისაკენ. ქალაქი ნიმეგენი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

მოწინააღმდეგის განლაგებაში მოკავშირეთა მიერ შექმნილი სოლის ფუძე გაფართოებულია აინდჰოფენის ორივე მხარეს. მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს სომერენს, რომელიც აღმოსავლეთით მდებარეობს, და ბრძოლებს ეწევიან დასავლეთით მდებარე ვინტელრეს რაიონში.

მდინარე შელდის შესართავის რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ტერნეზენი და განაგრძობენ მოწინააღმდეგისაგან ამ მდინარის სამხრეთ ნაპირის გაწმენდას ლეოპოლდის არხის აღმოსავლეთით.

იმ ჯარებმა, რომლებიც სამხრეთ ჰოლანდიიდან გერმანიის საზღვარზე გადავიდნენ, ჰაილენკირხენიდან 3 მილით წაიწიეს წინ. შტოლბერგ-ბიუზბახ-ს რაიონში, ახენის აღმოსავლეთით, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ მოწინააღმდეგისაგან ტერიტორიის გაწმენდას და ბრძოლებს ეწევიან შტოლბერგის ქუჩებში.

21 სექტემბერს საშუალო ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს რკინიგზის სადგურებზე ერანგში, ჰეროლშტაინსა და პრონსფელდში (გერმანია).

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რიმინი. ამ ქალაქის დაკავების დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი მდინარე პოს ხეობაში შესასვლელთან მდებარეობს.

ამერიკის მე-5 არმიამ დაიკავა გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი ფიორენცოლა ამენინის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მძიმე ბომბდამშენთა შენაერთები გუშინ კვლავ ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს უნგრეთსა და იუგოსლავიაში.

მოკავშირეთა ავიაცია მოქმედებდა აგრეთვე საბერძნეთსა და ალბანეთში.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ბელგრადი, 22 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ დასავლეთ სერბიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა, რომლებიც ენერგიულ შეტევას განაგრძობენ, გაათავისუფლეს ქალაქი კრუპანი. რუდნიკის სექტორში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი გორნი მილანოვაცი. მოკლული და ტყვედ წამოყვანილია მტრის ბევრი ჯარისკაცი, წამოღებულია დიდი დავლა. იუგოსლავიელთა ნაწილებმა ქალაქ კრივი ვირთან გაანადგურეს მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფება და სდევნიან მას პარაჩინის მიმართულებით.

ჩერნოგორიაში განთავისუფლებულია საოლქო ცენტრი ნიკშიჩი და ქალაქი ანდრეეევიცა. კავშირი ჩერნოგორიასა და ჰერცეგოვინაში მყოფ გერმანელთა ჯარებს შორის სავსებით გაწყვეტილია.

დალმაციაში, პელეშაცის ნახევარკუნძულზე დაკავებულია მტრის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ტრპანი.

სლავონიაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა, რომლებიც მძლავრ შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ქალაქები დრუვარი და პლეტერნიცა, ოგრეთვე პუნქტები ზაბოკი და ვიროვაცი.

ომი წყნარ ოკეანეში

საჰაერო თავდასხმა ფილიპინებზე

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა თვითმფრინავები, რომელთაც ბაზა ავიოსნებზე აქვთ, პირველად დაესხნენ თავს მანილას (ფილიპინის კუნძულები). ჩაძირულია იაპონელთა 11 გემი და მოსპობილია იაპონელთა 205 თვითმფრინავი, გარდა ამისა, მოსპობილია მცურავი მშრალი დოკები და ორი კარეპაი. იაპონელთა თვითმფრინავების მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, სერიოზულად დაზიანებულ იქნა ძლიერ გამაგრებული რაიონი. დანგრეულია ორი ბერეოდრომი და დაზიანებულია საზღვაო ბაზა კავიტე.

საცხოვრებელი სახლების რემონტის ორთვიური

წინ მიდის ბერიას [illegible]

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების რემონტისა და კეთილმოწყობის ორთვიური.

ორთვიური დაიწყო 10 სექტემბრიდან და გასტანს 10 ნოემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში თბილისში მთელი საბინაო ფონდი მომზადებულ უნდა იქნას შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის: უნდა შეკეთდეს სახურავები, წყალსადენის მილები, კანალიზაცია, ფანჯრები, საერთო სარგებლობის ადგილები, წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი სანაგვე ყუთები, ეზოები და სხვ.

ორთვიურის ჩასატარებლად რაიონებზე მიმაგრებული არიან მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები. მათ დავალებული აქვთ დახმარება გაუწიონ სახლთმმართველებს და მობინადრეებს საცხოვრებელი სახლების შეკეთებაში, ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში.

დედაქალაქის საბინაო ფონდის რემონტისა და კეთილმოწყობის ორთვიური წარმატებით მიმდინარეობს ბერიას რაიონში. 10 სექტემბრის შემდეგ ამ რაიონში შესდგა მობინადრეთა კრებები, შესწავლილ იქნა 600 საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა. ამ სახლებიდან 15 სექტემბრისათვის უკვე დამთავრებული იყო 60 საცხოვრებელი სახლის რემონტი, ხოლო 40 სახლში შესრულებულ იქნა წესრიგმანი სარემონტო სამუშაოები. დასუფთავდა და წესრიგში მოყვანილ იქნა ეზოები.

10 სექტემბრისვე რაიონში მოეწყო მასობრივი კვირაობა, რამაც კარგი შედეგი მოგვცა და გამოამჟღავნა მოსახლეობის აქტივობის მაღალი დონე. ჯერჯერობით რაიონის საცხოვრებელი სახლების სარემონტოდ მოსახლეობის მონაწილეობით შესრულებულია 50.000 მანეთის სამუშაოები.

წერეთლის ქუჩაზე № 24 სახლის მობინადრეებმა ერთი დღის განმავლობაში შეასრულეს 1.500 მანეთის სარემონტო სამუშაო და მთელი საჭირო მასალაც ადგილობრივ გამონახეს. შეკეთებულია სახურავი, წყალსაწრეტი მილები, შეაკეთეს სახლის ფასადი, წესრიგში მოიყვანეს საკანალიზაციო ქსელი და სხვ.

ლერმონტოვის ქ. № 15 სახლში ერთ დღეს მობინადრეებმა შეაკეთეს სახურავი, წყალსადენის მილები, [illegible] მოიყვანეს [illegible] ეზო, სარდაფები და სხვ.

ამავე რაიონში 17 სექტემბერს მოწყობილ მასობრივ კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 350 მობინადრემ. მათ ერთ დღეს რამდენიმე ათეული სახლის შეკეთება დაიწყეს. 12 სახლი იმავე დღეს შეაკეთეს, სხვა სახლების შეკეთება კვლავ გრძელდება.

კარგად ჩატარდა კვირაობა ლუნაჩარსკის ქ. № 8 სახლში, სადაც შეკეთებულ იქნა წყალსაზომის სახურავი, წყალსადენი და კანალიზაციის მილები, აივნის და კიბის მოაჯირები, საერთო აივნის იატაკი, გამოცვლილ იქნა კიბის უვარგისი საფეხურები, ხელახლა ააშენეს ერთი ბინის ცალი კედელი, შეაკეთეს საპირფარეშოს იატაკი და სხვ.

ამ სახლის მობინადრეთა შორის აღგილობრივი რესურსების გამოძებნითა და ენერგიული მუშაობით თავი ისახელეს მობინადრეებმა ნ. კეთილაძემ, პ. რუსიამ, ს. კალანდაძემ, პ. ლეკვამ, გ. ვაშაძემ და სხვ.

სტალინის რაიონში საცხოვრებელი სახლების რემონტის ორთვიურმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გასაქანი. მართალია ითათბირეს აქტივთან... სახლთმმართველებს მიიმგზავნეს დასახმარებლად პასუხისმგებელი მუშაკები. ხოლო შეუდგნენ მუშაობას თუ არა ყველა ეს ამხანაგები დღემდე არ სჩანს. რაისაბჭოს კომუნალურ განყოფილებაში დღესაც არ იციან რამდენი სახლია შესაკეთებელი. მიმგზავრებული ამხანაგებისა და სახლთმმართველების მეტ ნაწილს დღემდე არ შეუსწავლიათ და არ გამოუვლინებიათ შესაკეთებელი სახლები, არ შეუსწავლიათ ოგრეთვე ადგილობრივი რესურსები და სხვ. აქ, რომ საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობის ორთვიური სუსტად მიმდინარეობს, ამას ისიც ადასტურებს, რომ პირველი ორი კვირის განმავლობაში რაიონში მხოლოდ შვიდგან შეაკეთეს სახლის სახურავი.

მოლოტოვის რაიონში მხოლოდ გამოვლინებულია და აღრიცხულია სარემონტო შენობები, მასობრივი კვირაობა კი დღემდე არ მოწყვიათ და ადგილობრივი რესურსებიც არ შეუსწავლიათ.

გ. ხენგავა

ალექსანდრე საჯაია

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თავისი შემოქმედების გაფურჩქვნის პერიოდში გარდაიცვალა ნიჭიერი პოეტი ალექსანდრე ალექსის-ძე საჯაია.

მის პირველ ლექსებშივე, რომლებიც ამ ათი წლის წინათ გამოქვეყნდა, გამორნდა უტყუარი ნიჭი ლირიკოსი პოეტისა, ნიჭი მოვლენების თავისებური შეგრძნობისა და აღქმისა, ნოჭი ახლის გრძნობისა.

ალ. საჯაია ჭაბუკური გატაცებით შეჭხაროდა აყვავებულ და განახლებულ საქართველოს, მისი გამარჯვებისა და წარმატების მაუწყებელ ყოველ ფაქტს და ცდილობდა მის მიერ განცდილი ეს დიდი გრძნობა ამაღლებულად გადაეცა მკითხველთათვის. ხშირად ეს ცდა გვაძლევდა განუმეორებელ სტრიქონებს, რომლებიც, ნანინას მსგავსად, ნაზი მელოდიურობით ეღერდნენ.

ჭეშმარიტი პოეზიის ყოველი მოყვარული შინაგანი სულიერი მდელვარებით წაიკითხავს მუდამ ალ. საჯაიას პატარა კრებულში მოთავსებულ ლირიკულ ლექსებს—„წყაროს“, „სამშობლო ჩვენია“ (ხასანის გმირისადმი მიძღვნილ ლექსს), „ძველ ონნგურს“, „ახალგაზრდა ხეს“, „ზამთარს“, ლექსების ციკლს გორზე, განსაკუთრებით „ლიტერატურისა და ხელოვნების“ ფურცლებზე დაბეჭდილ მის ორ ლექსს „ოლეგ კოშევოის“ და „დაჭრილ მეომრის წერილს“.

ალ. საჯაიაში აღსანიშნავი და დასაფასებელი იყო თავისი წარმატებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, გრძნობა პასუხისმგებლობისა მწერლის მოვალეობისათვის, იმ მიზნით, რომ აემაღლებინა და გაეღრმავებინა თავისი ოსტატობა, ალ. საჯაია გაბნგრძობდა თავისთავზე მუშაობას, საფუძვლიანად ეცნობოდა არა მარტო ქართულსა და რუსულ, არამედ დასავლეთ ევროპულ ლიტერატურას, მან შეისწავლა ინგლისური ენა და დღენიდან სთარგმნა რამდენიმე შედევრი ინგლისური პოეზიისა. ალ. საჯაიას მიერ თარგმნილ შელლის „ლრუბელი“, რომელიც გასულ წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, დარჩება როგორც მეტად ძნელად სათარგმნი დიდი პოეტური ნაწარმოების ოსტატური თარგმნის ნიმუში.

ალ. საჯაიას გულახდილობა, მოკრძალება, თავაზიანობა და დარბაისლობა ყოველ კეთილშობილ ადამიანში იწვევდა მასთან დაახლოებისა და დამეგობრების სურვილს.

ღრმა გულისტკივილით ვეშვიდობებით ჩვენს საყვარელ ახალგაზრდა თანამოკალმეს — პოეტ ალექსანდრე საჯაიას, რომელსაც ჰქონდა ნიჭი, მომზადება და ენტუზიაზმი იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ქართული საბჭოთა პოეზიის საგანძურში.

ხ. ჩიქოვანი, შ. დადიანი, გ. ჭიქოძე, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, კ. გამსახურდია, ა. მაშაშვილი, ი. ნოსაშვილი, ა. გაფრელია, შ. რადიანი, ბ. ეღლენტი, ლ. ახათიანი, გრ. აბაშიძე, კ. კალაძე, ი. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, გ. ჯიბლაძე, ხ. ჭილაია, ხ. ვარდოშვილი, ვ. გაბესკირია, დ. გაჩეჩილაძე, გრ. ჩიქოვანი, ერ. ასტვაცატუროვი, გ. შატ ბერაშვილი, ლ. ავალიანი, ა. ადამია, ა. შენგელია, ვ. ჭელიძე, ნ. აგიაშვილი, რ. მარგიანი, ი. ლისაშვილი, შ. ოფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, ი. ნონეშვილი, ნ. დოლიძე, ნ. ჩაჩავა, ი. ხოშტარია, ბ. ჩხეიძე, ვ. წულუკიძე, გ. ნატროშვილი.

თეატრებში

28 სექტემბერს: სახელმწიფო ოპერა — „აღი“. რუსთაველის სახელობის—„ირმის ხეები“. გრიბოედოვის სახელობის—„უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური—„სომეხი ქალი“. აზიწდოვის სახელობის — „ასლი და ქარიმი“. მოზარდი მაყურებლის—ქართული—„წითელქუდა“, რუსული—„გულიერი ლილიპუტების ქვეყანაში“. თოჯინების — ქართული—„ბებია დარეჯანის ზღაპრები“, რუსული—„ტერემტერემოკი“.

კინოებში

28 სექტემბერს: რუსთაველის ნაწილობის — „მზიური ველის სერენადა“. ოქტომბერი — „მასკარადი“. დამკვრელი — „სამი მუშკეტერი“. ხპარტაკი—„არინკა“. ლუკასეიბურგის სახელობის — „ჰაერის მეეტლე“. 26 კომისრის სახელობის—„დიდი ცხოვრება“. კომკავშირელი—საზაფხულო—„შვიდი მამაცი“, ზამთრის—„ოქროს მთები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იუწყება მწერალთა კავშირის პოლიკლინიკის გამგე ექიმ **გიორგი თევდორაძის